ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების
საქალაქო სამსახური

KA980184487741816

№25/278960

24 / ოქტომბერი / 2016 წ.

მოქალაქე მეჰმეთ ჰასდჰოღანს
მის: ქ. წამებულის N 91. ბ 13/

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური, თქვენი 2016 წლის 26 სექტემბრის #347100/12 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი“-ს მე-3 თავის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (დასახლება საბარგო, მიქელაძის ქ. #6 საკ/კოდ 01.17.08.074.017) ხილ-კენკროვანი მცენარეების (მათ შორის კარალიოკი, ჭერამი, ლეღვი) მოჭრა-გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ წერილობით ნებართვას არ საჭიროებს.

ხოლო რაც შეეხება 2 (ორი) ძირ თხილის ბუჩქს (დიამეტრი 4.1სმ-დან 8.0სმ-მდე) და 1 (ერთი) ძირ იასამნის ბუჩქს (დიამეტრი 1.0სმ-დან 4.0სმ-მდე), სამსახური თანახმაა ამავე დადგენილების მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გადაირგოს მიმდებარედ თქვენსსავე ტერიტორიაზე, აგროტექნიკური ღონისძიებების სრული დაცვით ისე, რომ არ დაირღვეს მათი სასიცოცხლო ფუნქცია.

დამატებით გაცნობებთ, რომ გადარგვის სამუშაოები უნდა განხორციელდეს თქვენი რესურსით ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით (საკონტაქტო 577151571), რის თაობაზეც უნდა ეცნობოს წინასწარ.

ტერიტორიაზე არსებული 1 (ერთი) ძირი კაკლის ხის (დიამეტრი 41.4სმ, ხნოვანება 44 წელი დაწყებული აქვს ზედა ტოტების ხმობა) მოჭრის ნებართვის მისაღებად, საჭიროა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ გაცემულ დასკვნაში მითითებული იქნას შესაძლებელია თუ არა მცენარის განკურნება.

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი

ნინო სულხანიშვილი

Scanned by CamScanner

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების
საქალაქო სამსახური

KA980139616355416

№25/310454 **30 / ნოემბერი / 2016 წ.**

შპს ცენტრალ ჯორჯია პლიუსი- დირექტორი
მეჰმეთ ჰასდოღანი
საქართველო, თბილისი, ქ.წამებულის 91, ბინა13

თქვენი 2016 წლის 24 ოქტომბრის #418014/07 განცხადების პასუხად სადაც ითხოვთ შპს „ცენტრალ ჯორჯია პლიუსი"ს კუთვნილ ტერიტორიაზე (დასახლება საბარგო, მიქელაძის ქ. #6 საკ/კოდ 01.17.08.074.017) 1 (ერთი) ძირი კაკლის ხის მოჭრის ნებართვას გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის მიერ განხილული იქნა თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, რის შედეგადაც საქართველოს კანონის „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ'' მე-2 თავის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის და შპს „დემასო ვუდ"ის 2016 წლის 10 ნოემბრის #01/171 საექსპერტო დასკვნის შესაბამისად მიღებული იქნა შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) მიეცეს თანხმობა, შპს „ცენტრალ ჯორჯია პლიუსი"ს ტერიტორიაზე მოიჭრას ერთი ძირი დაავადებული, ხმობადი კაკალი (დიამეტრით 41.4სმ, ხნოვანება 44 წელი დასკვნის მიხედვით აღნიშნული ხის განკურნება შეუძლებელია).

ბ) მესაკუთრე ვალდებულია ჭრის დაწყება აცნობოს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს (ტელ: 595 30 40 34).

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი ნინო სულხანიშვილი